„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი ოქტომბრის 1-დამ წლის დამლევამდე 3 მანათი.

### ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, ოქტომბრის 5-ს.

თუმცა ფრანცუზები ჩინელებს კალიასავითა ჰქლეტენ, მაგრამ მათს გამარჯვებებს არა აქვს ისეთი ხასიათი, რომ ჩინელების დამორჩილება შეიძლონ და მშვიდობის ჩამოგდება ათხოვნინონ მათ. ფორმოზის კუნძულის ნავთ-სადგურები, მართალია, დაიპყრეს ფრანცუზებმა და იმედი ჰქონდათ იქაურ ქვა-ნახშირის მადნების დაჭერით ისეთს სიმდიდრეს ჩაიგდებდენ ხელში, რომელიც სამხედრო კონტრიბუციას დაედრებოდა, მაგრამ, როგორც ისმის, ჩინელებს ამ ქვა-ნახშირის მადნებში წყალი მიუგდიათ და რამდენიმე წლით სრულიად გაუუქმებიათ, ასე რომ საფრანგეთის ხომალდები არამცთუ ჯეროვანს კონტრიბუციას არ აიღებენ, თავიანთთვის საჭირო ქვა-ნახშირსაც ვერ იშოვიან ახლად დაჭერილ კუნძულზედ. რაც შეეხება ტონკინს, რომელიც კარგა მოშორებითა სძევს პირველის ბრძოლის ველიდამ, აქაც გამარჯვება ფრანცუზებსა რჩებათ, მაგრამ ისეთი გამარჯვება, რომელიც შესაძლებელია ბოლოს დამარცხებად გადაიქცეს. მართლაც, ჩინელებს რომ ასი კაცი მოუკვდეთ და ფრანცუზებს ათი, ეს უკანასკნელი ათი უნდა მეტ დანაკლისად ჩაითვალოს შორეულ ქვეყანაში გადაკარგულ ფრანცუზებისათვის, ვიდრე ასი იმ ჩინელებისათვის, რომელთაც ზურგს უკან 450 მილიონი ხალხით დასახლებული ჩინეთი აქვსთ. ასე რომ ევროპიელი გაზეთები ეხლა ურჩევენ ფრანცუზებს პირ-და-პირ ჩინეთის დედა-ქალაქს პეკინს მიმართონ, აილონ იგი და ისე დაითანხმონ ჩინეთის მთავრობა ფრანცუზებისათვის საჭირო ხელ-შეკრულობაზედ; მაგრამ პეკინის აღება ეხლა ისე ადვილი არ არის, როგორც ოცის წლის წინად იყო. ვიდრე ჩინეთის დედა-ქალაქამდე მივიდოდენ, ფრანცუზებს წინ სამი წყება დახვდებათ ციხე-სიმაგრეებისა, რომელთა აღებისათვის, გაზეთების სიტყვით, დიდი ხარჯი, ცდა და ჯარია საჭირო. ამას გარდა, თითონ პეკინს 80,000 საუკეთესო ჯარის კაცი ახვევია თურმე გარს და ამათთან საბრძოლველადაც უფრო მეტი ჯარია საჭირო, ვიდრე საფრანგეთს ჩინეთში მოეძევება.

***

მაგრამ გაზეთების აზრი ჩინეთის ჯარებზედ და სამხედრო მოწყობილობაზედ ყოველთვის დასაჯერი არ არის. მკითხველს ეხსომება, რომ ბაკნინის აღებამდისაც საფრანგეთს სამი წყება სიმაგრეებისა უნდა გაევლო, მაგრამ მათი აღება საფრანგეთის ჯარს ისე არ გაუჭირდა, როგორც სათამაშო ქაღალდისაგან მოხუხულავებულ «ციხე-სიმაგრეების აღება» არ არის გასაჭირი. მხოლოდ ეს კია, საფრანგეთს თუ უნდა ერთხელ და სამუდამოდ გაათავოს საქმე ჩინეთთან, უზომო ეკონომიას თავი უნდა დაანებოს, ერთბაშად საკმაო ჯარი გაჰგზავნოს იქ და მართლა პირდაპირ პეკინს მიჰმართოს. რომ ეს გარდაწყვეტილება თითონ საფრანგეთის მთავრობასაც ჭკუაში უჯდება, შემდეგიდამა სჩანს: როდესაც სექტემბრის 2-ს პალატების სხდომები დაწყებულა, ზღვათა მინისტრს დეპუტატთა პალატისაგან თერთმეტი მილიონი ფრანკის დამატებითი კრედიტი მოუთხოვნია; ეს, რასაკვირველია, დიდ ფულს არ შეადგენს, მაგრამ მას, უეჭველია, სხვა „დამატებითი კრედიტი“ მოჰყვება, თუ მთავრობა აუხსნის პალატებს, რომ დიდხანს საქმის გაგძელება უფრო ბევრს ხარჯში შეიყვანს საფრანგეთს, ვიდრე ერთბაშად საკმაოდ შეიარაღებულის და დასურსათებულის ჯარის გაგზავნა.

***

ევროპის დიდი სახელმწიფოები ინგლისისგან ჩაგონებულს ეგვიპტის მმართებლობას აღარ ეშვებიან. იქ შემდგარა ხალხთა-შორებრივი სამსჯავრო, რომელშიაც დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გარდა დანიშნულნი არიან ოთხნი მსაჯულნი ეგვიპტის მხრივ. ბრალდებულნი არიან ეგვიპტის პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ნუბარ-ფაშა და ეგვიპტის სხვა მოხელენი. ყოველი ამ უკანასკნელთა პროცესის გათავებამდე აღკრძალვაშია მიცემული, ასე რომ ინგლისი, სხვათა შორის, იქნება მსაჯულად ბრალდებულთა, რომელთაც მხოლოდ ის ბრალი ედებათ, რომ მისი ბძანება მეტად მტკიცედ აღასრულეს. საქმემ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ, უეჭველია, ინგლისის განკარგულება მოიშლება და ევროპის კაპიტალისტე-

---

«დროების» ფელეტონი, ოქტ. 5-ს.

### ვინც მიყვარს.

ვითა სხივი ცით მნათობის  
ზაანათებს ქვეყნად ბნელსა,  
ისე შენი სიყვარული  
ზანმიქარვებს ჭირსა ძნელსა!

—

ზინდ ქვეყანაც ამიმტერდეს:  
მზად იყოს, რომ მაცვას ჯვარზე!...  
ჯოჯოხეთიც მისის რაზმით  
სამაცდუროდ მადგეს კარზე,

—

არ შევდრკები... მაშინ შენის  
მეგობრობით აღჭურვილი!...  
მებრძოლს შენის სახელითა  
მთლად გადამქნის მე სურვილი:

—

სოლომონის სიბრძნეს მომცემს,  
სამსონისა ძლიერებას  
და გინდ შავი დღეც დამადგეს,  
არ მომაკლებს ნეტარებას.

—

ვითა სხივი ცით მნათობის  
ზაანათლებს ქვეყნად ბნელსა,  
ისე შენი სიყვარული  
მეც მინათლებს ამ სოფელსა.

აკაკი.

### პროვინციის გაზეთის რედაქციაში

(თავისუფალი თარგმანი.*)

სტამბის კუნჭული, რომელიც განყოფილი არ არის კასსებისა და დაზგებისაგან. კუთხეში სდგას საწერი სტოლი, გაზეთებით სავსე; აქა-იქ აწნევია გაჭუჭყიანებული და დაფლეთილი კლიონკა. სტოლის წინ, ოდესმე მკვირცხლს სავარძელში, ზის მაღალი, ხმელ-ხმელი, მკაცრი შეხედულობის კაცი, 40 წლისა. ეს გახლავსთ გაზეთის რედაქტორი. გვერდით, უბრალო ფიცრის სკამზე მოთავსებული წვერ-ცამეტა თხელი კაცი. ეს თანამშრომელია. ორნივე ლაპარაკით არიან გართულნი.

—

— დასწყევლოს ღმერთმა! სამასიც არ არის! — ამბობს რედაქტორი.

— როგორ? აკი ამბობდი — სამასოციაო?

— სამას-ოცი! მუქთებს აღარა სთვლი? სამოცამდის მუქთია... შენ ხომ მუქთად გეგზავნება?

— ნუთუ მეც ფული უნდა გადავიხადო?!

— საქმეც ეს არის. მაგისთანები ბევრნი ხართ და! წელიწადში ორს საცოდავ კორესპონდენციას დასწერს, იმასაც სისულელეს, და გაზეთი კი მიართვი!

— რაო, რა დაგემართა? რა ეშმაკი შეგიჯდა?

— მოდი და ნუ შეგიჯდება ეშმაკი! სამასი ხელის-მომწერი კაცს არა ჰყავდეს და გამამტყუნებელი ოქმები კი ერთი გოდორი იყოს შეყენებული. ერთი შეურაცხყოფისათვის ჩივის, მეორე დიფამაციისათვის, მესამე ჭორიკანაობას მწამებს...

სტოლს უახლოვდება მაღალი, დიდი ხნიდამ პირ-მოუპარსავი კაცი, შინელში გახვეულა; ხელში ქუდი უჭირავს. ეტყობა შეზარხოშებული არის.

— რა გნებავსთ?

— მ.. მ.. ოწყალეო—წიფევ! თქვენს რედაქციის გაზეთში, ოც-და-ჩვიდმეტ ნომერში, ჩაგდებულია, რომ მე ჩემს ცოლს წავეჩხუბე...

— თქვენ რა გვარი ბძანდებით?

— ს...., მ....წყალეო ....წიფევ! კოლლ-ეჟსკი სეკრეტარი ს. ა—ძე ს....!

— თქვენზე, როგორც მახსოვს, ერთი სიტყვაც არ ყოფილა...

— ხა-ხა-ხა, რაღა თქმა უნდა! მაგრამ, მოწყალეო ხელ...მწიფევ, სიტყვების მსგავსება... თქვენ სწერთ: შ... მერმე ქუჩასაც ასახელებთ ბურაკოვისას და მე ვდგევარ რუდაკოვისაზე. მასუკან: სახლი მარახინისაო, და ჩემი სახლიც პტახინისაა. უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი ეს...

— საიდამ მოგივიდათ თავში, რომ ის თქვენზე უნდა იყოს დაწერილი? ზანა, თქვენ მართლა ჩხუბი გქონდათ ცოლთან?

— მ... მოწყალეო—წიფევ!

— კარგი, მოვრჩეთ. რა გნებავთ?

— მე მნებავს, რომ თქვენ უარჰყოთ თქვენი სიტყვები. უარ-ჰყოთ თვინიერ ყოველ-გვარ ყოყმანისა... მე მნებავს, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ შემდეგს ნომერში დაბეჭდოთ, რომ (ჯიბიდამ იღებს ქაღალდს და ჰკითხულობს) ოც-და-ჩვიდმეტს ნომერში დაბეჭდილი ცნობა არის საზიზღარი ჭორი, უსინიდისო სიცრუე, მოჩმახული ზღაპარი, ჰუჭყიანი ფაქტი, სამარცხვინო გამოგონილება სულელური ჭკუისა და ღორული მანქანება...

— არა კმარა?

— ნება მომეცით! ღორული მანქანება თავ-ლაფ-დასხმულისა!..

— დავბეჭდოთ, დავბეჭდოთ, ჰა?

— სწორედ.

— უკაცრავად, ჩემი გაზეთი სამიკიტნო არ გახლავსთ.

— მ... მო...წყალეო ხელ — მწიფევ!

— ნუ ჰყვირით, თორემ...

— რააოო? მე მოვითხოვ...

რედაქტორი წამოხტება სავარძელიდამ.

— ზნებავს გაბრძანდეთ, თუ არა? ივანე!

---

*) «Недѣля» № 29, 1884 წ.

ბი კვალად ყოველ-წლივ ამოიღებენ ნაწილ-ნაწილად ეგვიპტის ჭელახების ზურგიდამ იმ ფულს, რომელიც მათ იზმაილ-ფაშას მისის ჰარამხანებისა და მდიდარი შენობებისათვის ასესხეს.

* * *

წარსულ კვირას საყურადღებო საგანი პოლიტიკაში იყო აგრეთვე სატახტო სიტყვა იმპერატორის ფრანც-იოსებისა ვენგრიის პალატების გახსნის დროს. ჩვეულებრივ ფრაზებში გაზეთებმა განსაკუთრებით ის შენიშნეს, რომ ამ სიტყვაში მხოლოდ გერმანიასთან გულწრფელ მეგობრობაზედ იყო ნათქვამი და სხვა სახელმწიფოებთან მხოლოდ მშვიდობიანი დამოკიდებულება იყო ნახსენები. ვენგრიის გაზეთები ამ ამბავს სიამოვნით მიეგებენ და ამბობდენ, რომ სჩანს სკერნევიცაში თავ-მოყრას შესამჩნევი შედეგი არა ჰქონია-რა, თუ იმპერატორი მხოლოდ გერმანიას იხსენიებს გულწრფელ მეგობრად და მესამე სახელმწიფო კი არც კი უხსენებიათ...

პარტიები ვენგრიის პარლამენტისა ჯერ ჯეროვნით არ დალაგებულან, ცალ-ცალკე იკრიბებიან და ცალ-ცალკევე ამზადებენ ადრესს სატახტო სიტყვის პასუხად. ამ ადრესებში შესანიშნავია დამოუკიდებელი პარტიის ადრესი, რომელიც თხოულობს კიდევ უფრო მეტს დამოუკიდებლობას ვენგრიისათვის, ვიდრე ეხლაა. მასა სურს, რომ ვენგრიას ჰყავდეს თავისი საკუთარი ჯარი, ჰქონდეს საკუთარი გარეშე პოლიტიკა, საკუთარი ტამოჟნის პირობებით იყოს შეკრული სხვა სახელმწიფოებთან, ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო ბანკი და სხვ. ეს პარტია მომხრეა აგრეთვე იმისი, რომ ყოველს ერს, რომელიც კი ვენგრიაში სცხოვრობს, ეროვნული თავისუფლება ჰქონდეს მინიჭებული...

ადრესების მომზადების გარდა ვენგრიის პალატები გართულნი არიან აგრეთვე დეპუტატთა დოკუმენტების სინჯვაში. ყოველს პარლამენტსა და სეიმს წესად აქვს, ვიდრე კანონიერს სხდომებს დაიწყებდეს, გასინჯოს, თუ როგორ კანონიერად არიან ამორჩეულნი ხალხის წარმომადგენელნი და, თუ უკანონობა დაეტყო ვისმე, დეპუტატთა სიიდამ გამორიცხოს. ვენგრიის პარლამენტში ამ შემოწმების დროს ერთი სასაცილო ამბავი მომხდარა. ერთს დეპუტატს, როდესაც მას წარუდგენია პაკეტში თავისი დოკუმენტები, თან გაუყოლებია ანგარიში იმ ფულისა, რომელიც მას დასჭირებია ამომრჩეველთა შესასყიდად და სასტუმროში მათთვის ძვირფასი სადილის გასამართავად. ეს ამბავი ამტკიცებს, სხვათა შორის, თუ როგორ არის გავრცელებული ამომრჩეველთა შესყიდვა არა თუ პატარა ქვეყნებში, არამედ დიდ სახელმწიფოებშიაც, რომელნიც განათლებაში თავსა სდებენ.

* * *

დასასრულ, წარსული კვირის ამაღელვებელ ტელეგრამების შემდეგ, სასიამოვნოა შემდეგი ამბის გამეორება, რომელიც ტელეგრაფმა ვენიდამ მოგვიტანა:

„როდესაც ახალი უნივერსიტეტის შენობის საძირკველი ჩაჰყარეს, იმპერატორმა ფრანც-იოსებმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ურჩევდა მოსწავლეთა, რათა წარემატნენ მეცნიერებაში, კეთილ-სათნოებაში და მამულისადმი სიყვარულში; პროფესორებს და სტუდენტებს აღუთქვა, რომ ის ყოველთვის იზრუნებს მათთვის; ხელმწიფის სიტყვა დიდის ალტაცებით და «ვივატის» ძახილით მიიღეს დამსწრეთ. წესიერება, თვით სტუდენტების ზედამხედველობით, სამაგალითო იყო...“

## შინაური ქრონიკა

— ადგილობრივი გაზეთების სიტყვით, ამიერ-კავკასიის პრიკაზი ოქტომბრის 1-დგან მოსპობს სრულიად თავის მოქმედებას.

— ჩვენ მივიღეთ «სამი კომედია», დაბეჭდილი ერთს წიგნად, ავქ. ცაგარლისა. ერთი კომედია „ხანუმაა“ სამს მოქმედებად და ოთხ სურათად, მეორე «რაც გინახავს, ველარ ნახავ» და მესამე „ბაიყუში“ კომედია—ფარსი ორს მოქმედებად. წიგნი კარგა მოზდილია, სუფთად და საკმაოდ ლამაზად არის დასტამბული და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

რაც შეეხება თვით კომედიების ღირსებასა და ნაკლულევანებას, ჩვენ აქ ამაზედ მოკლედ მოვსჭრით სიტყვას: უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნ ა. ცაგარლის კომედიები საზოგადოდ, და დღეს დაბეჭდილნი კერძოდ, გარეგნობით იმითი განსხვავდებიან, რომ სასცენონი არიან და დიდის სისწრაფით, ძალ-დაუტანებლივ მიმდინარეობენ თამაშობის დროს. ცაგარლის პიესებს ამ მხრივ ღირსებას კაცი ვერ წაართმევს. აშენება სასცენო მასალისა სცენისავე მოთხოვნილებისამებრ, განაწილება ამ მასალისა რამდენსამე მოქმედებად, თითოეულ მოქმედებათა—სცენებად, ერთობ ეხერხება ახალგაზდა ავტორს; ტეხნიკა საქმისა მას კარგად შეუგნია. ეს დიდი ღირსებაა პირველის დებიუტისათვის. ამ საქმეში იგი უმხარდამხარდება, თუ კიდევაც არა სჯობნის დახელოვნებულს ჩვენის თეატრის მამათ-მთავრებს გ. ერისთავსა და ზ. ანტონოვს. მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენადაც ახალგაზდა ავტორი მარჯვე და მოხერხებულია პიესების წერაში ტეხნიკის მხრით, იმდენად უფრო უძნელდება ცხოვრებაში ღრმად ჩახედვა და კაცის სულიდამ დასაცინი მდგომარეობისა და სათაკილო გულის თქმათა გამოაშკარავება მკითხველთა და მაყურებელთა საგულისხმიეროდ, გონების სავარჯიშოდ, კეთილშობილ გრძნობათა განსაღვიძებლად. მაგრამ ეს ნაკლულევანება ისე გასაზვიადებელიც არ არის, როგორც ბევრს ეგონება პირველის შეხედვით. ავტორი ჯერ ახალი მწერალია, ჯერ ისევ დებიუტანტია, და, რაც უფრო საყურადღებოა, ჯერ ახალგაზდაა. ამისა-

---

ვაუპარსველი ვაჭ-ბატონი მიიხედ-მოიხედავს. დაზგიდამ დაიძრევის უზარმაზარი, ტლანქი მბეჭდავი.

— კარგი, მ...ოწყალე—წიფევ! მე მივდივარ, მაგრამ...

კარებს მიაწევა და ჩერდება.

— მივდივარ მ...ოწყალე—წიფევ, მაგრამ ვაი... თქვენ.

რედაქტორი ხმა ამოუღებლად ჩავარდე სავარძელში.

ამ კაცის გასვლისათანავე შემოდის უზარ-მაზარი გრუზა და რიჟა-კაცი.

— რა გნებავსთ?

— მე თქვენთან სუდში მექნება საქმე.

— ძალიან კარგი, რა ვქნათ... სხვა რა გნებავდათ?

— ეს წერილი უნდა დაბეჭდოთ უთუოდ.

რაზეა ეგ წერილი?

როგორ თუ რაზეა: ჩემი თავის გამართლებაა.

რედაქტორი გამოართმევს მოჩხაპნულს წერილს და კითხულობს: «ახლა დავრწმუნდი რომ თქვენი გაზეთი წუწკი ყოფილა და თქვენც აფრაკად ყოფილხართ».

— ღმერთო ჩემო! ძლივს ამოისუნთქა რედაქტორმა... ამდენი ლანძღვა!... «მე რომ ქრთამი ავიღო,—განაგრძო კითხვა ისევ რედაქტორმა—ეს რა გაზეთში ჩასაგდებია. მთელ ქვეყანაზე ჩემს მეტი მასხარად ასაგდები ველარავინ იპოვეთ...»

— მადლობა ღმერთს, მხიარულად დაიწყო, რედაქტორმა. ძმობილო,—მიუბრუნდა რიჟას – თუ სუდში წასულხარ, მეც სუდში მოვალ, სხვა რაღა გინდა?

— სუდში თავის რიგით იქნება.

— იქაც გინდა მაშ საქმე აწარმოვო და აქაც თავის გასამართლებელი წერილები გიბეჭდო? მერე წერილი წერილსა ჰქვიან: ილანძღებით, იგინებით.

— უნდა დაბეჭდოთ, უსათუოდ.

— მე მაგას არ ვიზამ.

— არ დაბეჭდავ?

— არა.

— მაშ, კარგი. მე გიჩვენებ სეირს.

— გრუზა კარებისკენ გაბრუნდა.

— ჯანდაბამდე გზა გქონია.

რედაქტორი უმტკიცებს თანამშრომელს, რომ ამისთანა პირობებში შეუძლებელია გაზეთის გამოცემა. შემოდის ვაჭარი, თან მოჰყვება ხუთი ზორბა კაცი.

— აი, ჩვენც აქა ვართ. თქვენ თუ ერთი კაცი გააგდეთ, ჩვენ ახლა აქ სამი შვილით და ორი ყოჩალი ბიჭითა ვართ... აბა, ერთი, ვილაყბოთ. როგორ იყო შენს გაზეთში, რომ ბანკრუტად ჩამწერე?

— რაო, თქვენ აქ საჩხუბრად მოხვედით?

— ჰო, თუ გინდა ასეც იყოს! ჩასწერე—ის მიქარვა იყო-თქო, ძალიან დიდი...

— ეჰე... ივანე, პოლიციას დაუძახე!

— ჩუ... ეგ არც კი იფიქრო! ბიჭებო! არ გაუშვათ კარში არავინ! არარა! შენ იცი... გამოაცხადე: მივქარე-თქო! მეტი არაფერი!.. ჩემი პაპა და პაპის პაპა ვაჭრობდა და შენ მე ბანკრუტობა მომაკერე—ეს სადაურია? რა რჯულის ლონღიკაა?..

— კარგი, მაგრამ თქვენ ხომ მაინც კოტრდებით?

— თუ გინდ ასეც იყოს, მერე, შენ რაო? შენი რა საქმეა? ეს ვაჭრობის საქმეა...

— ნუ ნებულობთ ჩემთან «შენობით» ლაპარაკს. გაბრძანდით კარში.

— რაო? მე შენ... ცხვირ-პირ დაგამ...

— ივანე, ხალხო!

— დაზგას შორდება უზარ-მაზარი მბეჭდავი.

— გაჩერდი! არ გაინძრე! თორემ აქაურობას დავამსხვრევთ.

— მბეჭდავი ბრუნდება.

— გამოაცხადებ, თუ არა, რომ მიჰქარე?

— კარგი, ეხლავე გამოვაცხადებ. რედაქტორი ხელს შეჰყოფს საწერი სტოლის უჯრაში და მაყურებელთ შეუნიშნველად რევოლვერს ამოიღებს. ვაჭარი უახლოვდება სტოლს, მას მოჰყვებიან შვილები და ბიჭები.

— აბა დასწერე: მივქარე-თქო, ძაან, ძაან მოვჩმახე-თქო, რომ ვაჭარი ვახრუშინის კოტრობაზე დავსწერე ისა-თქო.

— არ დავსწერ.

— „როგორ თუ არა“.

— არა და ისე!

— ცოდვას ნუ შემამთხვევ, ნუ ხუმრობ.

— მაშ, არ დასწერ, რაღა?

— სწორედ! ივანე მბეჭდავი ახლოვდება, თანამშრომელს ფერი მისდის და მოსდის.

— უკანასკნელად გეუბნები—დასწერ?

— არა მეთქი!

— მაშ უთაქეთ მაგას, შვილებო! ბიჭებო!

რედაქტორი რევოლვერის ჩახმახს შეაყენებს და ხელს ასწევს. ვაჭარი შვილებით და ბიჭებითურთ შეჰყვირებენ და გაიქცევიან.

ოფლ-დასხმული რედაქტორი ჩაეშვება სავარძელში, და ამოხვნეშას ვერ ასწრობს. შემოდის პოლიციელი.

— რა გნებავსთ?

— ქაღალდი გახლავსთ.

— ნუ თუ კიდევ გამამტყუნებელი ოქმია? გამოართმევს და ათვალიერებს: სწორედ ის ყოფილა... გამამტყუნებელი ოქმი... ჩინოვნიკი ფხაკოროვის შეურაცხყოფის გამო.

დიდხანს აცქერდება თანამშრომელს.

— ჰა?!..

ჟ.

თვის მას ვერ მოეთხოვება ცხოვრების სიღრმე-სიგანის ცოდნა, ადამიანის სულის მოძრაობის გარკვევით შეგნება და ის ობიექტივიზმი, რომელიც თავდაპირველს პირობას შეადგენს პიესის მწერალთათვის. დრამატიული ნიჭი კაცში იზრდება და ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ხანში შედის, ცხოვრებას ჰკვირდება, გამოცდილებას იძენს და კაცთა-ნათესავის ცხოვრებას ობიექტივურად, მიუდგომლად ეკიდება. ეს მარტო დრამის მწერალზე კი არ ითქმის, უფრო მეტის სამართლიანობით ითქმის კომედიის მწერალზეც. უმახვილესი ოხუნჯი ის არის, რომელიც თავის-თავსაც კი არ ინდობს—ამბობენ. უნიჭიერესი კომიკიც ის არის, ვინც თავის თავს აღამაღლებს სრულს მიუდგომლობამდე, სრულს ობიექტივიზმამდე. რაც უფრო მეტია ეს თვისება მწერლისა, მით ძლიერია მისი კომიზმი.

რასაკვირველია, ესე ყოველივე მოიპოვება ნიჭიერის მწერლისაგან თანდა-თან, ხანში შესულობასთან ერთად. ცხოვრების შეგნება, გონებრივი განვითარება, გამოცდა და ყურადღებით შესწავლა ევროპიული დრამატიულის ლიტერატურისა და კრიტიკისა—აი რა ამოქმედებს ნიჭსა.

== ქალაქში ხმა ისმის, რომ გაზეთს «კავკაზს» მომავალს წელს, შეიძლება, ეხლანდელი რედაქცია შეეცვალოსო. როგორც მკითხველებსაც ეცოდინებათ, გაზ. „კავკაზი“ ოფიციალური ორგანოა. იგი ვალდებულია ემსახუროს მთავრობის ინტერესებს, ადგილობრივი ვითარების გამოძიებით, ყურადღების მიქცევით წინ წაუძღვეს ქვეყნის საჭიროებასა და მოთხოვნილებას. ამისათვის მთავრობა თავის მხრით შემწეობას აძლევს გაზეთს ყოველ-წლობით და ყველა სახელმწიფო განცხადებას უსათუოდ ამ გაზეთში ჰბეჭდავს. ეს განცხადებანი და ყოველ-წლიური სუბსიდია გაზეთს მტკიცე საფუძველს აძლევს და ნივთიერის მდგომარეობის შესახებ დახათრიჯამებულია. ყოველ სამს წელიწადში ერთხელ მთავრობას ნება აქვს სხვა რედაქციას ჩააბაროს გაზეთი, თუ დღევანდელი რედაქცია რაიმე მოსაზრებით ვერ აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნილებას. წელს გადის ვადა თ. დ. ზ. ერისთავის რედაქტორობისა და ზემოხსენებული ხმებიც ეხლა გახშირდა. რასაკვირველია, ბევრია მსურველი ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო შემწეობით მტკიცე ნიადაგზე დამდგარი მატერიალურის მხრით, სასარგებლო კომერციული საქმე; ბევრია ისეთი, რომელსაც უფრო ეს უკანასკნელი საგანი ულვიძებს გულის თქმასა და სურვილს რედაქტორობისას, ვიდრე სხვა რამ კეთილ-შობილური წადილი და ქვეყნის სამსახურის ინტერესი. ჩვენ არ ვიტყვით, რომ დ. ერისთავის რედაქტორობით «კავკაზი» კარგად სწარმოობდაო, ადგილობრივ ინტერესებს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეულიო, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ განვითარებული აქაური მიწა-წყლის შვილი უფრო შესაფერი იქნებოდა „კავკაზის“ რედაქტორის ადგილზე, ვიდრე ჩვენის ქვეყნის უცოდინარი და მის ვითარებაში ჩაუხედველი პირი.

== ჩვენის გაზეთის წინა ნომრებში ნათქვამი იყო, რომ ქართული რეპერტუარი მალე იქნება ნება-დართულიო და საქმე მხოლოდ ფორმალურ მხარეზედ-ღა არის დარჩენილიო. ეხლა შევიტყეთ, რომ ბევრი პიესები ხელ-ახლად უნდა განიხილონ და მათი წარმოდგენის ნება-რთვა მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემათ. ლაპარაკი არ უნდა, რომ ურიცხვი პიესების განხილვა საკმაო დროს მოითხოვს და ქართულის წარმოდგენების მიმდინარეობას დააბრკოლებს და შეაფერხებს. ამავე საგნის შესახებ ეხლა ვტყობულობთ, რომ ჩვენს არტისტ-არტისტკებს განუზრახავთ საერთო თხოვნა მიართვან მთავარ-მმართებელს, რათა მან მოახდინოს განკარგულება, რომ სანამ ცენზურა პიესების გადათვალიერებას მოასწრობდეს, იმ პიესების წარმოდგენის ნება დაერთოსთ, რომელნიც უწინ წარმოდგენილან. ამის დასამტკიცებლად პიესების აფიშები პოლიცმეისტერთან იქნებიან წარდგენილნი.

== ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს პირს განუზრახავს არწრუნისეულს ქარვასლაში გახსნას განსაკუთრებითი ქართული წიგნების მაღაზია, სადაც აგრეთვე მიიღება ამ საგნის შესახებ ყოველ გვარი კომისია; ამ სასარგებლო სავაჭროს გახსნა, უეჭველია, ქალაქს გარეშე მცხოვრებლებს დიდს შემწეობას მისცემს და წიგნების გამოწერას გაუადვილებს.

== ჩვენ ზედ-მიწევნით შევიტყეთ, რომ ერთს ცნობილს პირს განუზრახავს ბეთანიის მონასტრის განახლება. ამ აზრით, იგი აპირებს სთხოვოს, ვისიც რიგია, რომ ფულის მოგროვების ნება მისცენ.

უეჭველია, რომ საზოგადოება სრულს თანაგრძნობას აღმოაჩენს ამ წმიდა და ყველა ქართველის გულისთვის დაუვიწყებელს საქმეს.

== მანგლისიდგან იწერებიან, რომ იქ ახლო-მახლო მდებარე ადგილებში გადასახლებული მთიელები დიდს შეწუხებაში არიანო, როგორც მომიჯნავე მებატონეებისაგან, აგრეთვე სხვა-და-სხვა თავზედ ხელ-აღებულის ხალხისაგანაო. ამ დღეებში, მანგლისის ცოტა მოშორებით, ახლად გადასახლებულს ორს მოხევეს, რომელთაც შინიდგან საქონელი მიუდიოდათ, დასცემიან რუსის მოსახლენი ვიღაცა ბარათაშვილის თაოსნობით და ძალზედ უცემიათო. მიზეზი ამ გვარი შეტაკებისა ჯერ კიდევ კარგად არ არის გამოკვლეული და არც გამოძიება მომხდარაო, თუმცა დაზარალებულები საჩივლელად თბილისში ჩამოსულანო.

== მანგლისის ახლო-მახლოვე ძალიან გავრცელებულია თურმე ყვავილი. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ გარემოებისათვის სამაზრო ადმინისტრაციას ყურადღება მიუქცევია და მიუცია ქაღალდი სოფ. დიდ-თონეთის სკოლის მასწავლებლისათვის იმის თაობაზე, რომ მას ყოველივე შემწეობა აღმოეჩინოს ყვავილის აცრის საქმეში. ზემოხსენებულს მასწავლებელს «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლისას მიუღია უფლება აცრისა სამკურნალო განყოფილებიდგან, ხოლო აცრის იარაღისათვის საჭირო ფული „საზოგადოებას“ მიუცია მისთვის თავის ხაზინიდამ.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ჭიანჭველების ცხოვრებიდამ. ერთს რომელიღაც გიმნაზიის დირექტორს პატერს გრედლერს ფრიად საინტერესო გამოცდა მოუხდენია ჭიანჭველებზედ. დირექტორის ერთმა მეგობართაგანმა დაჰყარა თურმე შაქრის ნატეხები ფანჯრის თაროზედ, სადაც ხშირად მოცოცდებოდენ ხოლმე ჭიანჭველები; უკანასკნელთ მაშინათვე დაუწყეს შაქარს ზიდვა თავიანთ სადგურში. მაშინ გრედლერმა აიღო მურაბის ბანკა, აავსო შაქრით და ფანჯარაზედ დაჰკიდა; ჭიანჭველების შესატყობინებლად, რა არის ბანკაში, გრედლერმა დაიჭირა რამდენიმე მათგანი და ბანკაში ჩასხა. ჭიანჭველები მარდად ჩაცოცდენ ძაფზე ბაღში, მოიყვანეს ამხანაგები და დაიწყეს შაქრის ზიდვა. ამ გვარად რამდენიმე დღე ზიდეს. შემდეგ შეწყვიტეს ძაფზედ ცოცვა და დაიწყეს ტრიალი მხოლოდ ფანჯრის ძირზედ, თუმცა ბანკაში ჯერ კიდევ ბევრი შაქარი იყო. ამის მიზეზი მალე გამოაშკარავდა: რამდენიმე ჭიანჭველა იჯდა ბანკაში, ესენი ბანკიდგან გადმოჰყრიდენ შაქარს, ხოლო სხვა ჭიანჭველები ჰკრეფდენ და ეზიდებოდენ თავიანთ ბინაზე.

—

საფრანგეთის წარჩინებული მწერალი-ქალი ადანი ამბობს შემდეგს ვენგრიის ჟურნალისტიკის მნიშვნელობაზე: «რადგან სკოლის საქმე მშვენივრად არის დაყენებული ვენგრიაში, ამისათვის გაზეთებს დიდი მნიშვნელობა აქვთ იქა. გლეხების უმეტესმა ნაწილმა იცის წერა-კითხვა და ამიტომ გულ-მოდგინედ მისდევენ პოლიტიკას. თვითეულს ქალაქში არის ლიტერატურული წრე და ყავა-ხანებში ისე ბევრი გაზეთებია გამოწერილი, როგორც საფრანგეთში,—თითქმის თვით უცუდესს გაზეთებსაც კი ჰყავს მკითხველები. მე მაჩვენეს ერთს ათას-მცხოვრებიან ქალაქში ყავახანა, რომელიც 105 გაზეთს და ჟურნალს იბარებს. ვენგრიული გაზეთები, განსაკუთრებით პეშტისა, სუფთად და კარგს ქაღალდზედ იბეჭდებიან. ზოგიერთს მათგანში ძრიელ ბევრი განცხადები იბეჭდება. ზოგჯერ ამნაირს სასაცილო განცხადებასაც შეხვდებით მათში: «ერთი პირი, რომელსაც მეტისმეტად უყვარს მანდილოსანნი და რომელიც სიამოვნებით აძლევს მათ ფეშქაშებს, სთხოვს, ვისთვისაც საჭიროა რაიმე ტუალეტის კუთვნილება, გამოუგზავნოს მას თვისი ფოტოგრაფიული სურათი და ადრესი». ანუ ასეთს განცხადებას: „მე მსურს შევკრიბო ჩვენის ქალაქის ულამაზესთა ქალთა სურათები და ამისათვის ვსთხოვ მანდილოსანთ—ვინც თავის თავს ღირსად სთვლის ჩემს გალერეაში ადგილი ჰქონდეს, გამომიგზავნოს თავისი ფოტოგრაფიული სურათი და ადრესი“. იმ გვარი განცხადებებიც იბეჭდება იქაურს გაზეთებში, რომ მოყვანილნი განცხადებანი მათთან შედარებით ძრიელ ზრდილობიანნი და თავაზიანნი არიან.

—

ამერიკულს გაზეთებში მოყვანილია ერთი საზარელი შემთხვევა, რომელიც ერთს მთებში მოგზაურს უამბნია. «რკინის-გზის მუშებმა ამას წინად კიკკინგორზის მდინარის კიდეზედ იპოვნეს ერთი—სიმშილისგან მომაკვდავი კაცი, რომელსაც სიგიჟის ნიშნები ეტყობოდა. კარგმა მოვლამ მალე მოაბრუნა იგი და თავის თავ-გადასავალზე შემდეგი ილაპარაკა. ამ წლის ივნისში ის და ერთი მისი ამხანაგი წასულან ოქროს მადნების საძებნელად. იმათ უნდოდათ თურმე მდინარე კოლუმბიამდინ მისულიყვნენ, მაგრამ საჭმელი გამოლევიათ და ექვსი დღე მშივრებს უვლიათ. მეშვიდე დღეზე ამხანაგს გამოუცხადებია, რომ მე მეტი სიარული აღარ შემიძლიანო,—დაცემულა და იქვე სული განუტევებია. მაშინ ამას ამოუჭრია მკვდრისთვის რამდენიმე ნაჭერი ხორცი, გასდგომია გზას და ამ საზარელი საჭმლით უკვებია თავი. როდესაც მუშებმა იპოვეს იგი, კიდევა ჰქონია ადამიანის ხორცი, ხელ-სახოცში შეხვეული. ამ უბედურს, რომელიც სიმშილმა იქამდინ მიიყვანა, რომ ადამიანის ხორცს დაუწყო ჭამა, ჯიბეში უპოვნეს თურმე რამდენიმე ასი დოლარის ბანკის ბილეთები. ამ საქმის გამო პოლიციას გამოძიება დაუწყვია».

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ოქტომბრის 3-ს

ბერლინი. გუშინ აქ იმპერატორი ალექსანდრეს სახელის გვარდიის გრენადერის პოლკს საპარადო სადილი ჰქონდა; რუსეთის სამხედრო ელჩმა, თავადმა დოლგორუკიმ, წაუკითხა მისი დიდებულების მისალოცველი ტელეგრამა და დალია პოლკის სიდღეგრძელო; პოლკის კომანდირმა დალია სრულიად რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო.

პარიჟი. პოლკოვნიკმა დანიემ, შემდეგ სამაგალითო ბრძოლისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიღო ოქტომბრის 10-ს (ახ. სტ.) ის სიმაღლენი, რომელნიც ტონკინის ციხეს ჩუს დაჰყურებენ; ეს ციხე იფარავს მტრისაგან დიდს გამაგრებულს ბანაკს; მეორე დღეს ჩინელები ცდილობდნენ თავდასხმას, მაგრამ ფრანცუზებმა ლანგსონისკენ გადაყარეს; ჩინელებს ამ დროს 3,000 კაცი მოაკლდათ, მათ რიცხვში ერთი გენერალიც; ფრანცუზებს 20 კაცი მოუკვდათ და 90 დაუჭრათ. ჩინელების ტონკინში შესვლა შეერთებულ იქმნა.

ოქტომბრის 4-ს

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრო ამით აცხადებს, რომ ცერძო განკარგულებანი შესახებ კიევის უნივერსიტეტის სტუდენტების მიღებისა სხვა უნივერსიტეტებში, დაბეჭდილნი „გრაჟდანინის“ № 215-ში, უნდა გაუქმებულად ჩაითვალონ საზოგადო დადგენილების ძალით ამ უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც დაბეჭდილია «მმართებლობის მოამბეში» სეკტემბრის 28-დამ.

**კიევი.** გუშინ გათავდა ეპისკოპოსთა კრება.

**კაირი.** ეგვიპტის მთავრობამ გადასწყვიტა ამ დღიდამ ხელ ახლავ შეიტანოს ხოლმე უწინდელი შესატანი ფული სახელმწიფო ვალის კასაში.

## ცნობანი

**სავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მოქალაქეთა მიერ ცერძო მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს სავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5-დგან შემოღებული იქნება მცხოვრებთა შეღავათისათვის უსასყიდლოდ მორიგედ ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაბინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლომჟისა**, ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1884 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა | 1 გირ. | 5 კ. |
| ახალციხის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | 1 გ. | 2½ |
| მეორე ხა. | 1 გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | 1 გ. | 4½ |
| მეორისა | 1 გ. | 3 კ. |
| მესამისა | 1 გ. | 2½ |
| ძროხის-მამის ხორცი: | | |
| პირველი ხარის. | 1 გ. | 4½ |
| მეორის ხარის. | 1 გ. | 3½ |
| მესამისა | 1 გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | 1 გ. | 7 კ. |
| მეორისა | 1 გ. | 6 კ. |
| სუკი | 1 გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | 1 გ. | — კ. |
| მეორისა | 1 გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო საშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით სხწრაფი 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით სხწრაფი 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი


ახალი წიგნი

**საპიკოპედია, ა. ცაგარელისა**

ისყიდება თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე ბათუმში, ქუთაისში და გორში. (5—1)

**თელავის დამზრდელი საზოგადოების მმართველობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამავე საზოგადოების «დეპო» მიიღებს გასასყიდად ყოველ-გვარ **ქართულ წიგნებს**. გასყიდული წიგნების ფულს, წიგნის პატრონი მიიღებს მუდამ ინგლისთეიმში, წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, 10% გამორიცხვით «დეპოს» სასარგებლოდ. (10—4)

სავლობუსო [PATENT GLOBE POINTED PEN] კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები უფრელის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები, ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტასტები, სავარცხლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კოპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შხოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

**პატაუკი—20 კ.** (100—14)

**არწრუნისეულ ქარვასლაში**

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—19)

შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

**ნაფტალინი** (ქაფური) **ჩრჩილის გამწყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან თბილისში, სააფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—66)

გამოვიდა
ცალკე წიგნად
**სამგვარი სიყვარული**
მოთხრობა
აკაკი წერეთლისა
(„დროების“ რედაქციის გამოცემა.)
ფასი 30 კაპ.

(ვინც ოც ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება **თბილისში** გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. **ქუთაისში** ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, **თელავში**, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—8)

ინგლისის მაღაზიაი

თმის-ამომყვანი



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—71)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 —,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ხაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უკელაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—68)